



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ მ ბ ა



№ 10

„ 13 „ 09 20 19 წ.

სსიპ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლისათვის მაგისტრობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციისათვის დამატებითი ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 48-ე და 52¹-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის #227 ბრძანების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №35 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 3.2 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ,

1. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლისათვის მაგისტრობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და ვადები დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაგზავნა სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილებისათვის.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირისათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში ქ. ახალციხის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. ახალციხე კ. მეზალიშვილის ქ. №62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი:



მაკა ბერიძე